

საგრანტო კონკურსის მოთხოვნები

შესავალი

ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებისათვის, მნიშვნელოვანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქნილი სისტემის შექმნა. ამისათვის აუცილებელია სერვისების მიწოდების მოქნილი მოდელის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს გარე მიმწოდებლების ჩართვას, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) მომსახურების ეტაპობრივი დეცენტრალიზაციის პროცესში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მრავალმხრივი პროცესია. ამ ეტაპზე ცენტრი, არსებული რეალობისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აცხადებს კონკურსებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული საგრანტო პროექტების შესარჩევად.

საგრანტო კონკურსის აღწერა

ცენტრის მიერ გრანტი გაიცემა შემდეგი თემატური მიმართულების მიხედვით - მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარება მცირეკონტინგენტიან სკოლებში.

საგრანტო კონკურსი ცხადდება ორ ლოტად:

1. ლოტი N1: „მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მცირეკონტინგენტიან სკოლებში“;
2. ლოტი N2: „მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარება დასავლეთ საქართველოს მცირეკონტინგენტიან სკოლებში“.

საგრანტო კონკურსის მიზანი

ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებისა და შეფასებების შედეგად, მკაფიოდ იკვეთება, რომ მცირეკონტინგენტიანი სკოლების უმრავლესობა, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მიხედვით, ჩამორჩება საშუალო და დიდი სკოლების მაჩვენებლებს. იმ სკოლების წილი, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება ორას მოსწავლეს, სკოლების საერთო რაოდენობის 67%-ია. მათი უმრავლესობა მდებარეობს სოფლად და კონტინგენტს ძირითადად შეადგენს მოსწავლეები დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან. აღნიშნული გარემოება ასეთი სკოლებისათვის სპეციფიკურ პრობლემებსა და გამოწვევებს ქმნის და მოითხოვს კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულ მიდგომებს. განსაკუთრებული ფოკუსი უნდა გაკეთდეს საგაკვეთილო პროცესის გამართულად ორგანიზებაზე, რაც უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

კონკურსის მიზანია, მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლების პრაქტიკოსი მასწავლებლების პროფესიული უნარების გაუმჯობესება საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის კუთხით.

1.1. განმცხადებელის მიერ გადასაჭრელი ამოცანები

ცენტრს შემუშავებული აქვს პრაქტიკული, ინტერაქტიული მოდული „საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა, მართვა და შეფასება“ (იხ. - მოდულის ზოგადი აღწერა). საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ განმცხადებელს მიენიჭება, ცენტრის მოდულის მიხედვით, პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელების საშუალება.

ამისათვის, განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს და წარმოადგინოს:

ა) გადაცემული მოდულის პრაქტიკაში დანერგვის გეგმა და მექანიზმები;

ბ) მოდულის გავლის შედეგად შეძენილი უნარების პრაქტიკაში გამოყენების უზრუნველყოფის მექანიზმები;

გ) საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდაკვირვებისა და უკუკავშირის გაცემის მეთოდოლოგიის აღწერა; განმცხადებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი.

განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს:

ა) პროექტის მიზნის შესაბამისად, ბენეფიციარების შერჩევა;

ბ) დამხმარე რესურსების (ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევები და სხვა) საშუალებით მასწავლებლებისთვის;

- მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო გეგმების შემუშავების სწავლება;
- საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდაკვირვების მექანიზმების სწავლება;
- კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე უკუკავშირის მიცემის სწავლება;
- ჩატარებული გაკვეთილების რეფლექსიის სწავლება.

გ) საგაკვეთილო დაკვირვების შეფასების კრიტერიუმების დახმარებით, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეფასების ინსტრუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

დ) პროგრამის მონიტორინგისა და განხორციელებული საქმიანობების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების შემუშავება.

1.2. ბენეფიციართა შერჩევა და სამიზნე ჯგუფები

- პროექტის ფარგლებში უნდა შეირჩეს მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლები, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა არ აღემატება ორას მოსწავლეს;
- პროექტის პირდაპირ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სკოლის პრაქტიკოსი მასწავლებლები;
- პროექტის არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სკოლის მოსწავლეები.

1.3. ლოტები

ლოტი N1: „მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მცირეკონტინგენტიან სკოლებში“ - გეოგრაფიული დაფარვა: კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი; სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა: მინიმუმ, 800 (რვაასი) მასწავლებელი;

ლოტი N2: „მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარება დასავლეთ საქართველოს მცირეკონტინგენტიან სკოლებში“ - გეოგრაფიული დაფარვა: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი (გარდა ქუთაისისა), გურია; სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა - მინიმუმ, 1000 (ათასი) მასწავლებელი.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში განაცხადების მიღება წარმოებს 2017 წლის 19 აგვისტოდან 2017 წლის 11 სექტემბრის 12:00 საათამდე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ განათლების სფეროში მოქმედ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას ან უკვე რეგისტრირებულნი არიან ცენტრის მიერ ადმინისტრირებად შემდეგ ელექტრონულ ბაზაში - <http://tpdc.ge/maswavlebeli/sh.php>.

უკვე რეგისტრირებული ორგანიზაციები ხელახალ რეგისტრაციას არ საჭიროებენ.

ორგანიზაციების მიერ საკონკურსო განაცხადების წარმოდგენა უნდა მოხდეს ცენტრის მიერ დამტკიცებული საგრანტო პროექტის ფორმისა და საგრანტო კონკურსის მოთხოვნების შესაბამისად. საგრანტო განაცხადები, რომლებიც არ შეესაბამება ცენტრის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, არ განიხილება.

განმცხადებელს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ორივე ლოტის საგრანტო კონკურსში.

საგრანტო კონკურსებში განმცხადებლის მიერ წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხა

რეგისტრირებულმა მომხმარებელმა საგრანტო განაცხადი უნდა შეავსოს და შესაბამისი დოკუმენტაცია ატვირთოს მხოლოდ ელექტრონული სახით.

ელექტრონული რეგისტრაციისას, ყველა აუცილებელი დოკუმენტი უნდა აიტვირთოს დასკანერებული ფორმით. ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ, გარდა პროექტის განმახორციელებელ პირთა CV-ებისა.

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სავალდებულო დოკუმენტები:

1. პარტნიორული (ერთობლივი) პროექტების შემთხვევაში, პარტნიორი ორგანიზაციის თანხმობა და პროექტის ფარგლებში პარტნიორული უფლება-მოვალეობების აღწერა;

2. პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში, ურთიერთთანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თანადაფინანსებლის თანხმობის წერილი;
3. განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტის ან ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ერთი სარეკომენდაციო წერილი;
4. განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, პროექტის სამოქმედო გეგმა, ლოგიკური ჩარჩო;
5. პროექტის ფარგლებში პროფესიული განვითარების აქტივობის (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა, კონსულტირება, ვებინარი და ა.შ) შევსებული ფორმა, საგრანტო პროექტის დანართი N1-ის შესაბამისად (პროფესიული განვითარების თითოეულ აქტივობაზე უნდა აიტვირთოს ცალკე დანართი N1);
6. პროექტის განმახორციელებელ პირთა სია, თითოეულის CV და მათი პასუხისმგებლობები;
7. პროექტის განმახორციელებელ პირთა თანხმობის ხელმოწერილი წერილები პროექტში მონაწილეობის თაობაზე;
8. ეროვნულ ვალუტაში შევსებული ბიუჯეტი.

არასრულად წარმოდგენილი საგრანტო პროექტი (არასრულად ატვირთული დოკუმენტაცია, ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი დოკუმენტის/დოკუმენტების ატვირთვა და განაცხადის შეუვსებელი ველი) ან/და განსხვავებულ ფორმატში შევსებული პროექტი ექვემდებარება განუხილველად დატოვებას.

გრანტის მოცულობა და გრანტის სახსრების ხარჯვის პირობები

საგრანტო მიმართულებაზე ცენტრის მიერ განსაზღვრული საერთო ბიუჯეტი შეადგენს - 265 000 (ორას სამოცდახუთი ათას) ლარს.

საგრანტო კონკურსში: „მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მცირეკონტინგენტიან სკოლებში“ (ლოტი N1) მოთხოვნილი გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 115 000 (ას თხუთმეტი ათას) ლარს;

საგრანტო კონკურსში: „მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარება დასავლეთ საქართველოს მცირეკონტინგენტიან სკოლებში“ (ლოტი N2) მოთხოვნილი გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150 000 (ას ორმოცდაათი ათას) ლარს.

გრანტით დაფინანსდება:

- საგრანტო პროექტის მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება (პროექტის საერთო ბიუჯეტის არაუმეტეს 10%-სა);
- საგრანტო პროექტის მიზნების შესაბამისი ხარჯთეფექტური აქტივობები.

გრანტით არ ფინანსდება:

- საოფისე ქირა;

- კომპიუტერული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;
- ქვეგრანტის გაცემა;
- სხვა ხარჯი, რომელიც არ შეესაბამება პროექტის მიზნებს.

კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია, პროექტის დასაწყისისათვის, მიიღებს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გრანტის 30%-ს, ხოლო დარჩენილი ნაწილის გადარიცხვას საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

საგრანტო პერიოდი - საგრანტო პროექტის განხორციელების ვადები

საგრანტო პროექტი უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 2017 წლის 2 ოქტომბრისა.

საგრანტო პროექტი უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2017 წლის 15 დეკემბრისა.

საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

საგრანტო კომისიის მიერ საგრანტო პროექტების შეფასება განხორციელდება „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის N106/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე).

საგრანტო პროექტის შერჩევის პრიორიტეტები

საგრანტო პროექტის შერჩევისას, პრიორიტეტი მიენიჭება:

- ✓ ბენეფიციარების მაქსიმალურ რაოდენობას;
- ✓ ტრენინგების დაგეგმვისა და ჩატარების გამოცდილებას;
- ✓ ტექნოლოგიების გამოყენებას პროექტის განხორციელების პროცესში;
- ✓ ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების/კონსულტირების ჩატარებას საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს.

მოდულის ზოგადი აღწერა

1. ტრენინგმოდულის/ტრენინგპროგრამის დასახელება: **სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება**
2. ტრენინგმოდულის/ტრენინგპროგრამის მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები:
მცირეკონტინგენტიანი სკოლების მოქმედი პრაქტიკოსი მასწავლებლები
3. ტრენინგმოდულის /ტრენინგპროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა:
10- 25 მსმენელი;
4. ტრენინგმოდულის /ტრენინგპროგრამის ხანგრძლივობა და დროში გადანაწილება:
24 საკონტაქტო საათი, 12 არასაკონტაქტო საათი
5. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი:
კომპიუტერი (1), პროექტორი (1), ფლიპჩარტები, მარკერები, საკითხავი მასალა, სამუშაო ფურცლები.
6. მსმენელთა შეფასების სისტემა:
ტრენინგის განმავლობაში მსმენელები შეფასდებიან განმავითარებელი შეფასებითა და დავალებების შესრულებით; მონაწილეებს 1,5 კრედიტულა მიენიჭებათ პროექტით გათვალისწინებული ყველა აქტივობის შესრულების შემდეგ.
7. ტრენინგმოდულს თან ერთვის საკითხავი მასალა და სამუშაო ფურცლები

მოდულის მიზანი და მისაღწევი შედეგები:

მსმენელები:

- გააცნობიერებენ მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაფუძნების აუცილებლობას ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმაზე;
- შეძლებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავებას;
- შეძლებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპების გამოყენებას სასწავლო პროცესში;
- გაეცნობიან განათლების მიზნების ტაქსონომიას, მისი გამოყენებით შეძლებენ გაკვეთილის დაგეგმვას;
- გაეცნობიან გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას, შეძლებენ მის გათვალისწინებას გაკვეთილის დაგეგმვისას;
- გაეცნობიან სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს, რათა შეძლონ მათი საგაკვეთილო მიზანთან შესაბამისად გამოყენება;
- გააცნობიერებენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარების აუცილებლობას სწავლის სტრატეგიების ეფექტურად გამოყენებისთვის; გაეცნობიან სწავლის რამდენიმე ეფექტურ სტრატეგიას, რათა შეძლონ მოსწავლეთათვის მათი ადექვატურად შეთავაზება;
- გაიაზრებენ ეფექტური კომუნიკაციის არსსა და მნიშვნელობას; იმსჯელებენ სუბიექტური რეალობის გათვალისწინების აუცილებლობაზე ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად;
- გაეცნობიან კომუნიკაციის სახეებს - ვერბალური, წერილობითი, არავერბალური და შეიმუშავენ რეკომენდაციებს თითოეული სახის კომუნიკაციისას ეფექტიანობის გასაზრდელად;

- შეიმუშავებენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, როგორ დაამყარონ ეფექტური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და თემთან;
- გაეცნობიან აქტიური მოსმენის ტექნიკებს. აქტიური, მოჩვენებითად კარგი და ცუდი მსმენელის მახასიათებლებს; კითხვათა ტიპებს და კითხვის დასმის ტექნიკებს. კონკრეტულ შემთხვევაზე დაყრდნობით კოლეგას მისცემენ რეკომენდაციებს აქტიური მოსმენისა და კითხვების კორექტულად დასმის შესახებ;
- გაეცნობიან კლასის ეფექტურად მართვისა და სასკოლო კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიებს;
- გაეცნობიან და გაანალიზებენ შეფასების ძირითადი პრინციპების გათვალისწინების აუცილებლობას და შესაძლებლობებს შეფასების პროცესში;
- გაეცნობიან შეფასების სქემების შედგენის ძირითად პრინციპებსა და შეფასების წარმოებას მათ საფუძველზე;
- გააცნობიერებენ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობას მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისას, იმსჯელებენ ეფექტიანი განმავითარებელი კომენტარების კომპონენტებსა და კრიტერიუმებზე, გაეცნობიან განმავითარებელი შეფასების თანამედროვე ტექნიკებს, შეძლებენ ეფექტიანი განმავითარებელი კომენტარების გაცემას;
- გაანალიზებენ მოსწავლეთა შეფასების შემადგენელი კომპონენტების - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების სწორად გამოყენების შესაძლებლობებს;
- გაეცნობიან ტესტის შედგენის ძირითად პრინციპებს, ტესტური დავალების ტიპებს, მათი გამოყენების შესაძლებლობებს, თითოეული ტესტური დავალების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ტესტის მნიშვნელობას მოსწავლეთა შეფასებაში; გამოუმუშავდებათ ტესტის შედგენის უნარები;
- გააცნობიერებენ შეფასების პროცესში პორტფოლიოს გამოყენების მნიშვნელობას მოსწავლეთა სწავლის პროგრესის დასადგენად და მათში მეტაკოგნიტური უნარების გასავითარებლად; გაეცნობიან პორტფოლიოს გამოყენების ძირითად პრინციპებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს; შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პორტფოლიოს ეფექტიანად გამოყენებისთვის;
- იმსჯელებენ დაკვირვების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობებზე; გაანალიზებენ მეთოდის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის მნიშვნელობას მოსწავლეთა შეფასებაში; გამოუმუშავდებათ დაკვირვების სქემების შექმნის უნარები.
 - გააცნობიერებენ სწავლების მიზანსა და შეფასებას შორის კავშირს, შეძლებენ მიზნის შესაბამისი შეფასების მეთოდისა და შეფასებისთვის ადექვატური დავალების ფორმის შერჩევას;
- გაეცნობიან მოსწავლეთა თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების თანამედროვე მეთოდებს, რა სიტუაციაშია თითოეულის გამოყენება რეკომენდებული, იმსჯელებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ძლიერ მხარეებზე, საფრთხეებზე და მათი თავიდან აცილების გზებზე; გააცნობიერებენ მოსწავლეთა შეფასების შედეგების გამოყენების აუცილებლობას მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის, შეძლებენ გაანალიზონ და გამოიყენონ შეფასების შედეგები მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით.